

**ოქმი N16****ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს ბიუროს სხდომის****2017 წელი, 18 აგვისტო  
ქ. ოზურგეთი, 16<sup>00</sup>სთ.****ესწრებოდნენ:**

საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი: ნ. გოგუაძე,  
კომისიების თავმჯდომარეები: ნ.ტაბატაძე, ი.საჯაია, ლ.თოიძე, მ.მახაროზლიძე,  
ლ. ბიგვაძა.  
ფრაქციის თავმჯდომარეები: ნ.ორაგველიძე, თ. სალუქვაძე.

**არ ესწრებოდნენ:** კ. კვაჭაძე, თ. ნადირიძე.

სხდომას ასევე ესწრებოდნენ საკრებულოსა და მერიის პასუხისმგებელი პირები.

**სხდომას თავმჯდომარეობდა:** საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ნ. გოგუაძე

სხდომის თავმჯდომარემ ბიუროს წევრებს გააცნო ბიუროს სხდომის დღის წესრიგი, რომელიც დამტკიცდა ერთხმად.

**დღის წესრიგი**

1. „ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ - ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 20 დეკემბრის N24 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

**მომხსენებელი:** ნინო გოგუაძე

**თანამომხსენებლები:** მარიკა ნაცვალაძე

**ლავრენტი ბიგვაძა**

**მომხსენებელმა მ ნაცვალაძემ** მუხლობრივად განმარტა წარმოდგენილი პროექტი.

**აზრი გამოთქვეს:** ლ.ბიგვაძა - ეკონომია ალბათ დარჩა ინფრასტრუქტურული მშენებლობებიდან.

**თ. სალუქვაძე** - ჩვენ ქალაქში რაიმე საგანგაშო, რომ ვერ გავითვალისწინეთ გვაქვს?

**მ. ნაცვალაძე** - არის დამზადებული პროექტები, რომლებიც უნდა შესრულდეს.

**დაადგინეს:** საკითხი დასამტკიცებლად გატანილი იქნას საკრებულოს სხდომაზე  
**დამტკიცდა ერთხმად**

2. „ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ - ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 იანვრის №2 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ.

**მომხსენებელი: ნინო გოგუაძე**

**თანამომხსენებელი: თამარ დუმბაძე**

**მომხსენებელმა თ. დუმბაძემ** განმარტა წარმოდგენილი პროექტი.

**აზრი გამოთქვეს: ნ. ტაბატაძე** - კომისიამ განიხილა და მოიწონა წარმოდგენილი პროექტი.

**ნ. გოგუაძე** - ჩვენ დამტკიცებული გვაქვს გაცემის წესი, რომელშიც ემატება ქვეპროგრამა - “ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანებისა და მათთან გათანაბრებული პირების კომუნალური სუბსიდირება 100/ასი/ ლარის ოდენობით”.

**დაადგინეს:** საკითხი დასამტკიცებლად გატანილი იქნას საკრებულოს სხდომაზე  
**დამტკიცდა ერთხმად**

3. „ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა, საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირების თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ“ - ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მიღების თაობაზე.

**მომხსენებელი: ნინო გოგუაძე**

**თანამომხსენებელი: ირინე საჯაია**

**მომხსენებელმა ი. საჯაიამ** განმარტა წარმოდგენილი პროექტი.

**დაადგინეს:** საკითხი დასამტკიცებლად გატანილი იქნას საკრებულოს სხდომაზე  
**დამტკიცდა ერთხმად**

4. „ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკურ თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირების თანამდებობრივი სარგოების ოდენობების განსაზღვრის შესახებ“ - ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მიღების თაობაზე.

**მომხსენებელი: ნინო გოგუაძე**

**თანამომხსენებელი: ირინე საჯაია**

**მომხსენებელმა ი. საჯაიამ** განმარტა წარმოდგენილი პროექტი.

**დაადგინეს:** საკითხი დასამტკიცებლად გატანილი იქნას საკრებულოს სხდომაზე  
**დამტკიცდა ერთხმად**

5. ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საარჩევნო სააგიტაციო მასალების განთავსების რეგულირების შესახებ.

**მომხსენებელი: ნინო გოგუაძე**

**თანამომხსენებელი: ირინე საჯაია**

**მომხსენებელმა ი. საჯაიამ განმარტა წარმოდგენილი პროექტი.**


**დაადგინეს: საკითხი დასამტკიცებლად გატანილი იქნას საკრებულოს სხდომაზე დამტკიცდა ერთხმად**

საკრებულოს სხდომის ჩატარება გადაწყდა 2017 წლის 21 აგვისტოს 15 საათზე.

სხდომის თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა დამსწრეთ და სხდომა დასრულებულად გამოაცხადა.

### **სხდომის თავმჯდომარე**

ნინო გოგუაძე



საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი  
ხელმძღვანელობა